

# საქართველოს მემორიალი



„სანამ პეტრე მოვიდოდა პავლეს ტუბი კასპერია“

№

44

1920 წ.

ოქტომბერი 10



ვილსონი ვხატავს სომხეთის საზღვრებს, თორეების ფაშა კი სომხეთს ახერხებს.





### Status quo ante...

ვეროპის სოციალისტთა დელეგაცია ენკენისთვის 27-ს საღამოს წავიდა ოზურგეთიდან.

იმ ღამეს ოზურგეთს ძილი არ მიჰკარებია:

დაწყებული საუკეთესო მოქალაქეებიდან (სიოქანტურიშვილიდან და გიორგი მურვანიძიდან) ვიდრე უკანასკნელ მოქალაქემდე—(მახარბელა ჩხაბუტაიშვილამდე) ყველანი ჰბორგავდენ, ტრიალობდენ, კენესოდენ და შფოთავდენ ლოგინებში და ერთი წუთითაც არავის ჩაუთვლემია.

მაგრამ ყველაზე უფრო შეწუხებული და მოუსვენარი ერობისა და ქალაქის გამგეობათა წევრებისთვის იყო ის ღამე.

მათი ოხვრა და გახშირებული ხვნეშა ისეთის ძლიერებით გაისმოდა ქალაქში, რომ ერთ უცხო კაცს, რომელიც სურებიდან ჩამოსულიყო დელეგაციის სანახავათ, ორთქლმავლის ქშენა ეგონა და მეორე დილით ყველას ჰკითხავდა, როდის მოასწრო ოზურგეთის ერობამ ასე მოულოდნელათ რკინის გზის გამოყვანაო.

შესაბრალოის სანახავები იყვენ მეორე დღეს ოზურგელები: სახე-ჩაყვითლებულნი და თვალბეჩაცვივებულნი დალასლასებდენ ქუჩებზე და საფლავებიდან ამოსულ აჩრდილებსა ჰგავდენ.

ისეთ აპათიასა და უნდომობას შეეპყრო ყველა, რომ იმ დღეს იქაურ ქალებში არც ერთი ქორი არ გავრცელებულა და ადგილობრივ უშაღლეს დაწესებულებებში არც ერთი ინტრიგა არ განასკუვლა.

ასეთი დღე კი არასოდეს ახსოვდა ოზურგეთს.

ყველამ კარგათ იცოდა, რაც იყო ამის მიზეზი.

ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ ყოველად შეუძლებელი იყო ცხოვრება, როდესაც ქუჩები შედარებით გასუფთავებული იყო, ქალაქში არც ერთი თოფი არ ვარდებოდა ლორის მოსაკლავად, ნატანების გზაზე არავის ცარცავდენ, ხიდები შეკეთებული იყო და თვით. გზა-ტკეცილიც აქა-იქ შეესწორებიათ.

განა ასეთ პირობებში შესაძლო იყო ნორმალური ცხოვრება?

განა წყლიდან ამოყვანილ თევზს შეუძლია ხმელეთზე არხეინათ ყოფნა?

—ძალი ვინც დაახრჩო, იმან გადაათრიოსო!—გაისმოდა ხმები ოზურგეთში.

ხალსის კეთილ-დღეობა მოითხოვდა რომ დაუყონებლივ ყოფილიყო აღდგენილი „სტატუს ქვოანტე“ დელეგაციის მოსვლისა და ყველას თვალეზი ქალაქისა და ერობის გამგეობებისაკენ იყო მიპყრობილი.

ქალაქის თავი და ერობის თავმჯდომარეც მიხვდენ თავიანთ მოწოდების მნიშვნელობასა და

სილიადეს და მესამე დღეს, დილიდანვე ენერგიულათ შეუდგენ მუშაობას...

გიორგი მურვანიძემ უპირველეს ყოვლისა მსწრაფლათ დაიბარა სასანიტარო ექიმი.

—საიმედო ადგილას გაქვთ შენახული ის ნავავი, დელეგაციის მოსვლისთვის რომ აიღეთ ქუჩებზე?—ჰკითხა მან ექიმს.

—ღიად, ყოველად საიმედო ადგილას!—უპასუხა ექიმმა.

—ღარწმუნებული ხართ, რომ ვერავინ მოიპარავდა?

—ერთი მისხალიც არ დაიკარგებოდა!

—მაშ ამ წუთშივე შეებმევენეთ ურმები და გაანაწილეთ ქუჩებზე ისე, როგორც წინათ იყო... იცოდეთ, ნათლი-მამობა და მიკერძება არ იყოს! სამართლიანათ დაარბიეთ! საღამომდე გაძღვეთ ვადას!

ექიმი საჩქაროთ წავიდა და დაუყონებლივ შეუდგა ბრძანების ასრულებას.

—მომიტათ საომარი ტანსაცმელი და იარაღი!—ბრძანა გიორგიმ, რაკი ეს უშთავრესი საქმე მოითავა.

რამდენიმე წუთში გიორგი მზათ იყო: ტანთ ეცვა წვირლ-თვალა რკინისა, თავზე ეხურა ჩაფხუტი და პირზე მუხარადი ჰქონდა ჩამოფარებული; ცალ ხელში თოფი ეჭირა, მეორეში—მაუხერი და წელზე ხორასნის ხმალი ერტყა.

აბა, მზვერავებო!—უბრძანა მან მილიციონერებს: გასწით ეხლავე და თქვენს საქმეს შეუდევით ვაეკაცურათ! მე ქალაქის ბოლოში ჩაუუსაფრდები მტერს: იცოდეთ, შეგბრალება არ იყოს: დიდი იქნება თუ პატარა, ქუჩაში შეგხვდესთ თუ ეზოში,—სიკვდილი მათ!

—საღორეშიაც მოვკლათ, ბატონო?—კრძალვით შეეკითხა ერთი მილიციონერთავანა.

—თუ შეატყროთ, რომ ქუჩიდან გამოქცეულან და საღორეში იმალებიან, იქაც მოჰკალით!.. დაჰკათ, ბიჭებო! მით ოზურგეთს იხსნით გული ვაუბეთ—მით ჩვენს ქალაქს იცავთ!—დასძახა გიორგიმ სვიმონ ლიონიძისებურათ და ამ სიტყვებით აგზნებული მილიციონერები უშიშრათ გაექანენ თავის მოვალეობის შესასრულებლათ, ხოლო თითონ გიორგი ქალაქის ბოლოში ჩაუსაფრდა მტერს...

ამავე დროს ერობაშიაც დიდი ფაცა-ფუცი იყო.

სიოქანტურიშვილს გარს ეხვივნენ გამგეობის წევრები და გარინდებით უგდებდენ ყურს მის განკარგულებას.

—შენ, კალე, გებარება უახლოესი რაიონი—ეუბნებოდა სიო კალე ქავთარაძეს: თვით ქალაქიდან დაწყებული ვიდრე ვაშნარამდე. შემდეგი რაიონი—ვაშნარიდან მერიაამდე—შენს განკარგულებაში იქნება, შალვა, ხოლო მერიას იქით ვიდრე ნატანების სადგურამდე პლატონის და გიორგის ფარ-



გალია იცოდეთ, საღამომდე ყველა ხიდები უნდა აპყაროთ და ჩამტვროთ... გარდა ამისა, თვალყური ადევნეთ, რომ ნატანებიდან მეოთხე ვერსის დასალიერს, სადაც ყაჩაღები ესხმიან ხოლმე ყოველდღე მგზავრებს, შეიარაღებული კაცის ქაჭანიც არ იყოს: სადაცაა, ალბათ, მორიგი თავდასხმა მოხდება ღმერთი არ გაუწყრეს და დარაჯები არ ეგონოს ყაჩაღებს!

გამგეობის წევრები ნაჯახებითა და ლომებით გზას გაუდგენ.

— შეუბით ხარები! გუთანი იყოს, თორემ კავ-სახნისით ვერაფერს გავხდები!—ბრძანა სიომ და სახლში შევიდა.

ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ცხრა უღლიანი გუთნეული თავის მებრეებითა და გააღმასებული ბარ-საკვეთით მზად იყო და გუთნის დედას ელოდა.

სიოც მალე გამოვიდა: ტანთ ემოსა ტომრის ტილოს ხალათი, უჭამრო, თავზე ქილოფის ქული ეხურა, ხოლო ფეხზე ლამაზად მოკაპიტებული ქალამნები ჩაეცვა.

ყაზარმებთან რომ ავიდენ, სიო გუთანს ჩაუდგა და ოსტატურათ ჩაუშვა ბარ-საკვეთი გზატკეცილის მოკენქილ მიწაში...

საღამოს ყველაფერი რიგზე იყო კიდევ: ოზურგეთის სხვა და სხვა ნაწილებში გახშირებული თოფის ხმა და სასიკვდილოთ დაჭრილ ღორების საზარელი ჭყვირილი ისმოდა.

ქუჩებზე ლეშისა და ნეხვის სიმყარე იდგა. ნატანების გზატკეცილი სანახევროთ დახნული იყო და ჩამტვრეულსა და აყრილ ხიდებზე სამი კაცი დასახიჩრებულიყო კიდევ.

ყაჩაღები არხენათ სცარცვადენ მოგზაურებს მეოთხე ვერსის დასალიერს...

ამისდა გვარად, რაღაც ერთი დღის განმავლობაში „სტატუს კვო ანტე“ საესებით აღდგენილ იქმნა და ხალხმაც ძლივს თავისუფლათ ამოიხუნთქა.

იმ ღამეს ოზურგეთი ბედნიერი იყო და დაწყებული მახარბელა ჩხაპუტაიშვილიდან ვიდრე გიორგი მურგანიძემდე და სიო კანტურიშვილამდე — ყველას ტკბილათ ეძინა.

**თავგუნა.**

## პატარა ფელეტონი

თ ა ვ ჩ ე დ ღ შ ა

არა ერთხელ გამიცხადებია და ისიც საჯაროთ, რომ დაპატივებაზე არავის უარს არ ვეუბნები. რასაკვირველია მიჩვენია სადილი, მაგრამ ვახშამზედაც თანახმა ვიქნები, როდესაც იქნება და ვისთანაც იქნება.

ამგვარი ხათრიანი კაცი აბა ჩემს საუკეთესო მეგობრებს, თბილისის პროფესიონალური მოძრაობის ბურჯებს, უარს როგორ ვეტყვი!

„შამპანსა“ და „ქიმირონი“ თუ კი დავდევარ, მუშათა კლუბს როგორ შემოვსწყრებოდი.

მეც წავედი ვახშმით სწორეთ მუშათა კლუბში და თანაც ჩემს ძვირფას მეგობრებთან: აღფენისა და სამსონთან. მიუხედავათ იმისა, რომ ვახშამი საკმაო ადრე გამოვიწყეთ, ქვიფმა ფეხი მიიღვა და ჩვენებური, პერმამენტული ხასიათი მიიღო. ნაშუალამევის ორის ნახევარზე კონკრეტულ სადღეგრძელოებში მხოლოდ დამფუძნებელი კრების, ჩვენი დემოკრატიული მთავრობის და ნოე ჟორდანიათ სადღეგრძელოები დაგვრჩა. ამის შემდეგ განზრახული გვექონდა განყენებულ სადღეგრძელოებზე გადასვლა. ყველანი საუცხოვეო ხასიათზე ვიყავით და ჩვენი სიმღერის გუგუნე ახლო-მახლო უბნებს ატკობდა. ჩვეულებრივი მუშა ხალხი, ანუ დემოკრატია უკვე თორმეტ საათზე გაიკრიბა კლუბის დარბაზიდან და აღარავინ ჩვენს სიამოვნებას ხელს არ უშლიდა.

თამადამ უკვე აავსო პატარა ბაღია, რომლითაც სულ ნახევარი საათის წინ ხუთმეტი კაცისათვის დაჭრილი კიტრი და პამიდორი მოგვართვეს, ადგა და დაიწყო:

— ამხანაგებო! ქართველმა დემოკრატებმა წარმოშვა თავისი დემოკრატიული საშოდან ის სუვერენული ორგანო და ბატონ-პატრონი, რომელ...

სწორეთ ამ ტრადიკულ მომენტში მოუახლოვდა სუფრას ვილაც მილიციონერი და მოითხოვა ქეიფის შეწყვეტა. ამას აღენიშნავ აქ მილიციის საყურადღებოთ.

— ჩემთვის სულ ერთია, ბატონებო, ბუნდაც გათენებამდე ისხდეთ აქ, მაგრამ ნაბრძანები გვაქვს თორმეტი საათის შემდეგ ნადიმები ავკრძალოთ. თქვენ უკეთ მოგეხსენებათ მთავრობის კანონი ამის შესახებ. გთხოვთ დაიშალოთ.

— შენ ეი, გესმის თუ არა სად იმყოფები რეგენო? დასჭყვილა სიტყვა-შეწყვეტილმა თამადამ.—აქ მუშათა კლუბია!

— ვიცი, ბატონო, მაგრამ უფროსი გვიბრძანებს, არავითარი გარჩევა არ იყოსო; ყველა კლუბებს...

— ხმა, შე უბადრუკო! დავსძახე მე. (კარგათ არ მახსოვს, მგონია მე ვიყავი!) ვინ არის შენი უფროსი? შენი უფროსი ჩვენ ვართ. ჩვენი ნებაა ყველაფერი. თუ მოგვესურება თქვენცა და თქვენს უფროსსაც ხვალვე გამოეცვლით და სხვას დავაყენებთ.

გაბრახებულმა წამოიყვინო ხელი საესე ქიქას და მიწოდდა უგუნური მილიციონერისათვის თავში მეთხლიშა, მაგრამ ღვინო დამენანა და ისევ გადაკვრა ვამჯობინე.

სუფრაზე აუწერელი მღელვარება და შეხლა-შემოხლა შეიქნა. ყველა აღაშფოთა მილიციონერის ასეთმა საქციელმა. მართლაც, წარმოუდგენელი ასეთი უვიცობა სამსახურის კაცისაგან. თა-



# აღმოსავლეთის ხალხთა ურილობა

ანუ

## მხიარული მასპარაღი ბაქოში

ახერბეიჯანში რომ შუიტანეს სინათლე „კომუნიზმის“, ბაღშევიებმა გადასწვეიტეს აღმოსავლეთის ეველა ჩაგრულ ხალხთა ურილობის გამართვა ბაქოში.

ეველაფერი მზათ იყო ურილობისათვის, არ ჰქუდათ მხოლოდ დედეგატები.

ეინადან ცხადა იყო, რომ დედეგატები არსადან ჩამოვიდოდნენ, გადაწუდა, შიგ ბაქოშივე დეუმზადებინათ აღმოსავლეთის ეველა ერთა წამომადგენლები.

უბირველეს ეოჯისა სწირო იყო ეროვნული ტანისმისი დედეგატებისათვის.



ამ მიხნით ეოფილ ამირჯან თეატრის კარდერობიდან გამიტანეს ეველა ისტორიული და თანამედროვე ეროვნული კოსტიუმები და დაამზადეს დედეგატებისათვის.

მადისთვის სიტყვის შეწყვეტინება, ეს ძველებურ „სამსახურის არულების დროს შეურაცხყოფის მიყენებას“ უდრის. ვინ იცის რა, საკაცობრიო აზრს გამოსტევიამდა ჩვენი ძვირფასი თამადა, უკეთუ იმ შლეგს ისე მოულოდნელათ ხელი არ შეეშალა მისთვის. ამ მომენტს თამამად უდგება მგოსნის სიტყვები „ჩვენო თამადავ, უღმერთო იყო შენი შეწყვეტა! ვინ უწყს რაედენი საუნჯენი დავკარგეთ ჩვენა!“

დასასრულ მილიციონერი გავაგდეთ, მაგრამ ქეიფმაც დაჰკარგა ძველი სიხალისე. თამადამ, ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ თავის მძიმე მოვალეობაზე უარი სთქვა, ხოლო სხვა აღარავინ გამოჩნდა, რომ ინიციატივა თავის თავზე აღელო და სუფრისთვის ხელმძღვანელობა გაეწია.

ჩემზე ხშირათ ამბობენ, მრისხანე, სასტიკი, დიქტატორი და შეუბრალებელი კაციო, მაგრამ მიუხედავათ ამისა სახლში დაბრუნების შემდეგ კარგა ხანს ვფიქრობდი იმ მილიციონერის შესახებ:

— რა ჰქნას საბრალომ? კარგი და პატიოსანი, თუ კი კანონს უბრალო დემოკრატი დაარდევს. მაშინ მისი ე. ი. მილიციონერის საქმე იოლია. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი უბედურება, როცა კანონს იმისთანა ბურჯები არდევვენ, როგორც მე ვარ, აღფესი ხელაძე და სამსონ დობორჯგინიძე და როცა ეს ჩვენი უკანონობა მუშათა კლუბში ხდება. აღარ იცის საბრალომ პირდაპირი უფროსის ბრძანება შეასრულოს, თუ ჩვენი.

აი სადამდე მიიყვანა ჩემმა გულჩვილობამ! მილიციონერს გამოვექომაგე დემოკრატიის წინააღმდეგ!

ჩემმა მტრებმა შეიძლება ისიც წამომძახონ:

— შენ გამოიგონე ყველაფერი! შენ იქ არა ყოფილხარო, მაგრამ იმედი მაქვს არ დაუჯერებთ. — შეიძლება უბადრუკი ხორცი ჩემი ამ დროს სხვაგან იყო, მაგრამ სულით და გულით მე უთუოდ იქ ვიქნებოდი.

ეშმაკი.







ოსმალეთის წარმომადგენლათ ჩინებული გამოდგა კაკლის მოყვარე სოლეიმან კისკის-ოდლა, სოფო ქურთუბის დელეგატთ შეკურტნე მუშა ზეინადა.

### პ. კაუტსკი საპარტიოელოში

ბათუმში

დიდი ეშმაკი ვინმეა ეს მოხუცი კაუტსკი! დაჯდა რომში, აილო ხელში ბინოკლი და გაუსწორა ჩვენს ქვეყანას.

როდესაც საქართველოს ხმა ჩაუწყდა „ვაშას“ ძახილისაგან და ქანცი გამოეღია ტაშის ცემისაგან, „ახლა კი აღარ არის საშიშო“, გაიფიქრა და „ეითარცა მპარავი ღამესა შინა“, ჩუმად მოადგა ბათომის ნაპირს. ფეხ-აკრეფით გადმოვიდა ხმელეთზე, უნდოდა შეეუმჩნევლად წამოსულიყო თბილისისაკენ, მაგრამ აქ ანგარიშიში მოსტყუვდა:

„ახე. ტრიაშ“ (ვლასა მგელაძემ) გაუგო ეშმაკობა და დროზე ჩაუსაფარდა ნავთსადგურზე, ერთ ცარიელ ბოჭკაში.

ორი ნაბიჯის გადადგმა ძლიერ მოასწრო კაუტსკიმ, რომ „ტრია“ თავის საფარიდან გამოვიდა, წინ გადაუდგა სტუმარს და თვალის დახამხამებაში პაერში შეათამაშა.

— ღვთის გულსათვის!.. ნუ გადამიგდებთ ზღვაში!.. გამოცივდება და ავად ვახდება!— შეევედრა „ტრიას“ თავზარდაცემული ქალბატონი ლუიზა კაუტსკისა.

„ტრიაშ“ ყურად-ილო ქ-ნი ლუიზას თხოვნა და აღარ გადაისროლა ზღვაში კაუტსკი, ერთ-ორჯერ შეატრიალა მხოლოდ ხელში, დასვა მიწაზე და მხურვალეთ გადაჰკონა.

— გამარჯობა, „ტრია!“ როგორა ხარ?—ქართულად მიესალმა გონს მოსული კაუტსკი მას, რაკი იცნო ძველი ნაცნობი და მეუღლეს წარუდგინა:

„ტრიას“ ხელის ჩამორთმევისაგან ქ-ნი ლუიზას საშინელი ტკივილი აღებუქდა სახეზე და თვალზე ცრემლი მოადგა.

— მაღლობა ღმერთს, რომ ამას გადაუტრია ჩემი მოხუციო,— გაიფიქრა გუნებაში და სიმწრით გაუღიმა ახალ გაცნობილ მასპინძელს.

ავტომობილთან რომ მივიდნენ, უცებ კაუტსკის გზა გადაუღობა დავით შარაშიძემ, რომელიც თურმე იქვე უთვალთვალებდა მას.

დავითს ზაფრანის ფერი ეღო და ნიკაბი უკან-კალებდა: ეტყობოდა, რომ მისასალმებელ სიტყვის წარმოსათქმელად ეშადაებოდა.

უხერხული სჩუმე ჩამოვარდა.


— დი-დი დე-დი-დე-დებულო მასწავლებელო და ძ-ძ-ძვირფასო ამხანავო!—დაიწყო მან, შეჩერდა და ხმა მაღლა ნერწყვი გადაჰკლავა.

— გამარჯობა თქვენი! გაუწოდა ხელი დავითს კაუტსკიმ: თქვენც ჩვენთან ერთად წამობრძანდებით? გაიცანით ჩემი მეუღლე. რა ლამაზია თქვენი ქვეყანა. თქვენ ალბათ მოგებზრდათ კიდევ ეს მშვენიერი ბუნება და მე კი თვალი ვერ მომიშორებია... მიბრძანდით!— ანიშნა მან დავითს ავტომობილის კარებზე.


დავითი და „ტრია“ რომ ჩაბრძანდნენ, შემდეგ კაუტსკი და მისი მეუღლეც ჩასხდნენ და ავტომობილი დაიძრა.

რა ამბები დატრიალდა შემდეგ—ამას მერე მოგახსენებთ.

თავგუნა.







ინგლისის ჯარებს უკან ჩამოჩენილი ორი ინდუსი მთელი ინდუსეთის რწმუნებით აღიჭურვა.

### 3. კ ა უ ტ კ ი

(მიღვრადიული ცნობები)

ჩვენ სიამოვნებით და უღრმესი მადლობის გრძნობით ვათავსებთ იმ ცნობებს კაუტკის შესახებ, რომელიც ამას წინათ პროფ. ტოტომიანცმა მოათავსა გაზეთ „სლოვოში“.

აი, კაუტკის მოკლე ბიოგრაფია:

პროფესორი ტოტომიანცი დაიბადა 1873 წ.

ჯერ 5 წლისა ძლივს იქნებოდა, რომ პატარა პროფესორმა ტოტომიანცმა ჩინებული სათამაშო კოოპერატიული დუქანი გაუმართა თავის ტოლ-ამხანაგებს.

რაც შეეხება კაუტკის სალიტერატურო ასპარეზზე გამოვლას, პროფესორმა ტოტომიანცმა 9 წლიდან დაიწყო რუსეთის ყველა ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობა.

საუკეთესო პუბლიცისტის და მარქსიზმის უბადლო თეორეტიკოსის სახელი გაითქვა კაუტკიმ 1892 წ. როდესაც პროფ. ტოტომიანცმა თავისი შესანიშნავი წერილი მოათავსა „Neue Zeit“-ში.

შესახებ კ. კაუტკის სოციალ-პოლიტიკურ რწმენისა შეგვიძლია აღვიაროთ, რომ პროფესორი ტოტომიანცი იმ თავითვე ექვის თვალთ უცქეროდა ორთოდოქსალ მარქსიზმს.

კაუტკი წლებზე ფეხს იდგამდა და არავითარ საშუალებებს არ ზოგავდა პრ. ტოტომიანცთან დასახლოებლათ, მაგრამ ყოველსავე ამ გვარ ცდას უღმობებლათ უკუადგებდა პროფ. ტოტომიანცი.

მიუხედავათ ამისა პროფესორ ტოტომიანცის გავლენა კაუტკის აზროვნებაზე თან და თან ძლიერდებოდა.


ბოლოს კ. კაუტკიმ გულწრფელად მოინანია თავისი ცოდვები, უარი სთქვა ორთოდოქსობაზე და შეევედრა პროფ. ტოტომიანცს: ოღონდ შენ დამიმეგობრდი და თქვენს პარტიაში ჩავეწერებო.

პროფესორ ტოტომიანცს თავი მოაბეზრა ამდენმა ხვეწნა-ვედრებამ და თანხმობა განუცხადა.

გახარებული კაუტკი იმ წამსვე ჩაეწერა კადეტების პარტიაში.

მაშინ პრ. ტოტომიანცმა დაიხლოვა კ. კაუტკი და ამ ყამათ უშუალო ხელმძღვანელობას უწევს მის მუშაობას.

— 5ა.



### მთავრობის თავმჯდომარეს

ბ-ნო ნოე ნიკოლოზისძე ჟორდანისას


ა რ ზ ა

როგორც მოგეხსენებათ, ბ-ნო ნოე ნიკოლოზისძე, მე მეტათ პასუხსაგები პოსტი მიქირავს. ჩემთვის ნერვების აშლა მთელი საქმის დაღუპვას უდრის. აღელვებული და აღშფოთებული მე ვერ დავიცავ ვაჭრობის დროს სახელმწიფოს ინტერესებს და შეიძლება ჩემდაუფებურათ დანაშაულიც ჩავიდინო.

ეს არ ესმის ბევრ უბასუხისმგებლო მოქალაქეს და ცდილობენ მოთმინებიდან გამოიყვანონ.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ ხმაურობას, რომელიც ჩემს გარშემო ასტეხეს იმ ბოლო დროს.





ჭამჭარა ალაბაშამ სხარსეთის წარმომადგენლობა იკისრა, ხოლო მეტყველ მკრტუმას ჩანჩუხიანტმა—სრულად სომხეთისა.

ამას წინეთ „ემშაკის მათრახის“ ერთ-ერთ ნომერში იყო მოთავსებული წერილი „ჭა-ხელი-ძეე!“ ვილაც გრ. სლუჩაინისა. წერილიდან სჩანდა თითქოს მე აქ კომბინაციებს ვაკეთებდე... ამას მოყვა წერილები „სხივში“ და შეტათ ნერვიული ატმოსფერა შეიქმნა ჩემს გარშემო... ასე წარმოდგინეთ სამინისტრომაც კი „ანგარიში გაუწია“ ამ ამბებს და დამინიშნა „რევიზია“.

21 აგვისტოს თარიღით მომივიდა სამინისტროდან მოწერილობა, სადაც, სხვათა შორის, მწერდენ: „რომ გაზეთებში ატეხილ ხმაურობას ბოლო მოუღოთ, უნდა რევიზია დაგინიშნოთ და მოემზადდო“. შეიძლება თქვენ გავიკვირდეთ, ბ-ნო ნოე; რევიზიის გიფრთხილება სად გავგონილაო, მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ—ეს ფაქტია. ამ მოწერილობის ასლი აქვს ბათუმში ფაქტიურ კანტროლის უფროს ბ. შავგულიძეს და ის დაგიმოწმებთ.

ამ გვარათ მე ველოდი რევიზიას. სექტემბრის პირველ რიცხვებში სარევიზიო კომისიაც ჩამოვიდა ბ-ნ თავადოვის თავმჯდომარეობით. უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-ნი თავადოვი ძალიან კარგი ყმაწვილია. მესტუმრა, დამე ჩემთან გაათია. რამდენჯერმე ერთადაც ვივანშმეთ ხან „არტელში“ ხან „მარანში“. ასე წარმოდგინეთ შიკრიკადაც კი გამეგზავნა რამდენჯერმე თბილისში ჩემს საქმეზე, რაისთვისაც დღეში ათასი მანეთი, დღიური მივიცეცე.

ფაქტიურ კანტროლის გამგეს ეს გაუკვირდა: სამინისტროიდან იღებს დღიურებს და შენ რათ მიეციო. მაგრამ მე ადამიანის შრომას ვფასებ და არ შემეძლო მისი ნაშრომი არ ამენაზღაურებია.

ჰო და ასე. სარევიზიო კომისია შეუდგა თავის მძავე მოვალეობის შესრულებას. ჩხრიკეს ქა-

ლადლები, ჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი მიპოვეს. ყოველი შემოსული და გასული ქალაქი რიგზე იყო ჩაწერილი წიგნში. საქმეები ლამაზათ იყო დაწყობილი, ასე რომ დასაწუნი არაფერი მქონდა. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, პირადი მტერი ყველას ყავს და მეც, რასაკვირველია. მისულა ვილაც სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენელთან (სარევიზიო კომისიის წევრია) და დაუბეზღე-ბივარ, წამოუყენებია ბრალდებები; ყველაზე საშინელი ნავთს შეეება.

როგორც მოგეხსენებათ, ბათუმიდან ნავთის გადატანის ნებართვა მხოლოდ მე მაქვს. მე კი არავის არ ვაძლევ, თუ რაიმე საქონელი არ შემოიტანა საქართველოში ნავთის მაგიერ. დაუბეზღე-ბივარ თითქოს ნავთის ნებართვები (ორჯერ 30 ათასი ფუთი) მე ერთბაშათ მივეცი ბ-ნ ჩაჩიბაიას და ამგვარათ მას მივეცი მონოპოლია ბირჟაზე. თითქოს ჩაჩიბაია ახდენდა რა ვაჭრებთან „სდელკას“, ე. ი. უცვლიდა საქონელში ნავთს ღირებულების მიხედვით, ამას გარდა ფუთ ნებართვაში 500—1000 მანეთს ახდევინებდა. დაუსახელებიათ ვილაც ვაჭარი ჰაიკ-თურგინი, რომელსაც თითქოს გაუცვალა ნავთი მარბილში ფუთი 260—80 მან. და ზედ მეტი ფუთზე 520 მანეთი გადაახდევინა. თითქოს ეს ზედმეტი მოგება ნახევარი მე გამიყო. მე არ ვიცეო, ბ-ნო ნოე, იქნებ ჩაჩიბაიამ ჩაიღინა ასეთი რამ, მაგრამ ჩემთვის ღმერთი, რჯული არაფერი არ მოუცია რომ მოეცა, განა წიგნში არ მექნებოდა ჩაწერილი?

ამაზე იმსჯელო კომისიამ, გადაათვალიერა ყველა წიგნები, მაგრამ ვერაფერი ჩემი შემარცხვენი ვერ ნახა.

ვიღებ რა მხედველობაში ზემო ნათქვამს და ვეყრდნობი რა რევიზიის დადგენილებას, ნებას ვა-





ღანანგენ ქვეუბნების წარმომადგენელთათვის ცენტრადენი სხვის შესწორება, ანუ გრიმი იყო სჭარო. სათანადო შეკეთების შემდეგ უველს დელეგატები მზათ იუენენ:



ყოფილი მეგარმონაეე ნაიკტა კურალესინი არაბისტანის წარმომადგენლათ იქტა.

ძლევ ჩემ თავს გთხოვთ, რომ მოახდინოთ განკარგულება და ალაგმოთ ისეთი უპასუხისმგებლო ორგანოები, როგორცაა „ეშმაკის მათრახი“ „სხივი“ და სხვა... ამასთან ერთად გთხოვთ...“

P. S. ბ-ნო — ეშმაკო! ამას წინათ ქუჩაში შემთხვევით ვიპოვე ზემოთ მოყვანილი არზა, რომელსაც ბოლო მოხეული ქონდა. ვინაიდან არზის შინაარსი საზოგადო ინტერესს არაა მოკლებული და მიმართულია ჩვენი უფროსი მასწავლებლის ნოესადმი, გთხოვთ დაბეჭდოთ ეს არზის ნაგლეჯი. იქნება მთავრობის თავმჯდომარემ მართლა მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს, იხსნას არზის ავტორი ნერვების აშლისა და აღვლევებისაგან და გაან-

თავისუფლოს სამსახურიდან. მართალია, არზაში ამ უკანასკნელ თხოვნაზე არაა ლაპარაკი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ბოლო ნაწილში (რომელიც დაკარგულია) აუცილებელი იქნებოდა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ თხოვნა. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ავტორის ადგილზე. განა ყველა მომხთარის შემდეგ არ დაანებებდით თავს სამსახურს?

გრ. სლუჩინი.





ძველმა ჩინოვიემ ივან ივანის ჩენილენკომ ტაბეტის წარმომადგენლობა იტვირთა.



უთუილა მარკოზა ივანშა ბოტიფონთეა ბუშენთა ზრთლეტარატის დეკეტატ გამოივდა.

### შაკანჯალაბულის ლუქსები

გომში ხარები შევრეკე,  
 აწ ნუ გამოხვალ ნიშოა,  
 პურით ტომრები გავტენე,  
 შიგ ჩავატანე ქვიშაო.  
 ბოსტნის მცველებად დაესვენ:  
 ცხვარი, ძროხა და ქაცარი,  
 სტვლებადენ, თავ სა დაესხენ,  
 რქებზე მოაბეს ბაწარი,  
 ქორი ქორობას არა სთმობს,  
 და ავი თვისსა სიავეს...

ამდენხანს ქვა, ბზე გვაყლაბეს...  
 ეხლახან გაანიავეს...  
 ნუ მიბღვერთ, თქვენ წინააღმდეგ  
 ცხვირის წვერზე მაქვს აცრილი: —  
 კუქი მატკინა, ვერ ვპამე —  
 პური უბზეო, გაცრილი.  
 გლებო, წაგიწყდეს ეგ სული,  
 ხედავ, ტომრით ვარ მოსული,  
 ბონებით პორტმან ორსული,  
 ნუ გიყვარს საქმე თარსული.  
 აჰა, ტომარი, ამიხვ,  
 ბლომათ ერიოს ქვიშა, ბზე...





„საღვთა ელიაგას კურთხევა“-ში აღწერილია სბრუევი ჯგუფის წევრების რწმუნებულებით იქმნა აღიარებული.

ზურგზე მოვიდე ტომარი...  
 მომაქვს... ვილაკამ წამართვა...  
 იმან, საზღვრებზე რომ არი  
 მირჩია წელში გამართვა...  
 მიტომაც სჩანს გამომართვა...  
 თან მითხრა: „ასსად არა სთქვა“,  
 „ნება“ შენ არ გაქვს ვაზიდვის,  
 და არცა შემოვიდისო.—  
 ქოთანს როგორი ძირიც აქვს—  
 საიდუმლოა ციციხისო...  
 ქვიშა დაუფქვავს წისქვილსა.  
 საცერი ქუდათ ვიხმაროთ...  
 და ნავათ პურის გობია...  
 მოვხილოთ მიწა მინდორში,  
 დავაცხოთ... ესა სჯობია.  
 გაგიყდა პური, წისქვილი,  
 მეპურე, მოიჯარადრე...  
 ცხვირზე სოკონი ამოგვდის,  
 სჯობს ძმანო, მოვიკრათ ადრე.  
 გომში შერეკვს ხარები...  
 აწ ნუ გამოხვალ ნიშაო...  
 ბლომად დაეტენეთ ტომარები,  
 არ გეშურდა ბზე და ქვიშაო...  
 სორო დარბაზად აქციეს—  
 ლხინობენ ტურა-მელეები,  
 ჩექმას ქვეშ თითი იცინის,  
 ლანჩას მთხვავს ფეხსაცმელები.  
 არვის იმედი არა მაქვს.—  
 ვერ შევქელ „კომპინაქია“  
 არც შემომაქვს და არც გამაქვს,  
 მოდის კანებს მთხვავს ფაცია.  
 ღორმა მიავნო ნავავსა  
 ჩიქნის, მუცელზედ სივდება.

ბიჭი იქნები, თუ შენ წელს  
 ზამთარში არ შეგცივდება...  
 სუქდება მიხო... ამბობენ:  
 „თმაც იმიტომა სცივდება“.  
 სოფელმა სული მოითქვა,  
 თფილისი უფრო მშვიდება...  
 ბუზმა კამეჩი ჩაყლაპა,  
 ან კი რა გასაკვირია...  
 შენ ის მითხარი რომ პური  
 შემოდგომაზე ძვირია.  
 ათანასე და მანასე,  
 ხან ისე შერება, ხან ასე.  
 ქორ-მიმინონი გამრავლდენ,  
 მწყერი არ ფრინავს ყანაზე...

ხარი-ხარსა დაეტაკა,  
 თხას შეაჯდა ერკემალი,  
 სომხეთს უღერს ხელს ქემალი  
 თუ არ მოტყდა ხერხემალი.  
 წუხელ დამ სიზმრად ვიხილე:—  
 ზღვად იღვა კართოფილები,  
 ქემალი სომხეთს მოადგა—  
 —ამღერდა თურქოფილები.  
 ვისაც გვექულს ფაშა ქემალი,  
 უნდა ვაქამოთ ტყემალი,  
 იქნება კბილი მოკვეთოს,  
 საზღვრებზე აღარ გვეკვეთოს.  
 რა კარგი არის, რომ ვირებს  
 ავლებდეთ პირში ლაგამსა...  
 სჯობს რამე პურსა უშველოთ...  
 აქ კი ნიხრავენ თაღვამსა...  
 წუხელის ძალი მომიკვდა,  
 დღეს მინდა მისი დაკრძალვა...





ნიკოლოზ სოსწავლთომშემქმედის ეკლესიის ელფილი მნათე ოსუფური ელეკიანი ბუსარის დემოკრატიის დედე-კატათ გამოცხადდა.

თუ სისრულეში არ მოვა  
 რას იზამს მარტო აკრძალვა.  
 შემოტანა ხომ აკრძალეს,—  
 ნება დართეს შემოძვრენას,  
 ნეტავ, ნიხრი ედებოდეს,  
 ბევრ ლაქლაქს და მლიქვენელ ენას.  
 გურული ფიცავს გურიას,  
 და ხონელი თავის ხონსა...  
 ადგილებზე დანიშვნაში  
 ბრალი უძევს ტელეფონსა.  
 შენ ელრიჯე ვისაც გესურდეს,  
 ამით ველარ გახვალ ფონსა  
 ღმერთო რა არ შეუძლია  
 პაწაწინა ტელეფონსა.  
 ვის სიდან სად გამოაძვრენს,—  
 წვრილს თოკსა და წვრილს ყურმილში,  
 შენ ნიახურს შეგაქმევენ,  
 თითქოს იყვე სიზმარ-ძილში...  
 ფიქრობ საქმე გააკეთე,  
 სიხარულით კარგავ გონსა...  
 მაგრამ აგერ, ვილაც „მსხვილმა“  
 ჩაუბერა ტელეფონსა,  
 და გამოძვრა ეშხიანი,  
 კოპწია, თმებ დაგრუზული  
 შენ კი უკან მოძუნძულე  
 წიწილივით აბუზული,  
 ერთხელ სადღაც მახსოვს ვქამე  
 კარაქი და ჭყინტი ყველი,  
 ეხლა ძმაო ყველას კარბობს  
 „ამხანაგი“ უსწავლელი...  
 კატას მიყავს დათვის ბელი...  
 რა დრო დადგა, უღმობელი...

ყურზე ძერა დამსკუბდა,  
 შინისკარტებს, თავში ჩამცხო,  
 „მაგიდამ“ რომ პური მომცა,  
 ისეც უნდა გამოვაცხო...  
 მაქარსა ვსვამ... გამიწითლდა  
 კობტა ცხვირის შე კენწვრო...  
 მსხვილ ნახშირით, მინდა შუბლზე  
 გაიძვერა დაგაწვრო...  
 აქარისტანის პატრონსა  
 უნდა ქონდეს ძილი ფრთხილი,  
 იქ ვერაფერს ვერ გააწყობს  
 უგულო და დედამთილი...  
 აქარას უნდა სიფრთხილე—  
 ფაქიზად გულში ჩახედვა,—  
 იქ ძმაო არ შეიძლება  
 ვის რაც აქ ძალუქს გაბედვა...  
 აქარისტანის შეილებსა  
 სულ სხვაფერ უნდა მოპყრობა...  
 სულ ადვილია იმათი  
 გულის მოგება, მოყვრობა...  
 მაგრამ, ვაი, რომ გაისმან  
 სამღურავისა ხმები...  
 აქარას უნდა სიფრთხილე—  
 —მტრად არ ვაქციოთ მშები.

შექანჯალბული.







ზოდინეზიის სოციალისტურ ზროლეტარიატის ბელადთ ტრიაშკა სემიზევერევი წარსდგა ურდობაზე.

### „ნაციონალიზაცია“

(რკინის გზის ცხვრემიდან)

— კოტე გამარჯობა! რათ ჩაფიქრებულხარ?

— ეჰ! რა ეჭნა ძმავ, ეს „ნაციონალიზაცია“  
 ჩაფიქრებს: როგორ ვაწარმოვო ქართულ ენაზე  
 საქმე, როცა ქართულის არა გამეგება-რა.

— შე კაი კაცო, მაგან როგორ დაგაღონა!  
 წამოდი შარუშოვთან და ხელათ გაგწვრთნის.

— ვინ არის შარუშოვი?

— წამოდი და გაიგებ. დიდი მოხერხებული  
 კაციო. აი, ეგერ არის თავისი მუშებით. აბა ყური  
 დაუგდე.

ამ სიტყვებით ვანო და კოტე სადგურის მ-  
 ხლობლათ მომუშავე ჯგუფს მიუახლოვდნენ, მათ  
 გზის ოსტატი ხელმძღვანელობდა.

— აბა ბიჭებო! დაანაზადეთ ეგ რელსა... აბა  
 კარგათ დაუტალკაჩეთ პერედნი რელსას. გასძ-  
 ხოდა მუშებს გზის ოსტატი.

— რას, დეა. სიღნო! რას, დეა, სიღნო!

— ივანე, განაგრძობდა შარუშოვი, პიატი  
 ზამოკში შპალებს ბალასტი გამოუჩისტე, ხომ ხე-  
 დაე მალლა აუწევიათ თავები.

— მისტერო! სტრელკის პერო ცოტათი მო-  
 ღუნულია და პრიაში პლოტნათ არ აღგება პა-  
 დუშკებს, მოახსენა უფროსმა მუშამ გზის ოსტატს.

— არ აღგება და დარდუბალი მის თავს...  
 თვალები სად გქონდა პადიომკას რომ აკეთებდი.  
 აბა მაჩინე სად არის გაღუნული.

— აი აქ.

— აბა ადინაცატი პუტში გააკეთე სტრელკა.

უბრძანა ოსტატმა. მუშამ განკარგულება აასრუ-  
 ლა.

— ნიჩევი, არა უშავს, მაგრამ ნავსიაკი სლუ-  
 ჩაი გამოატარეთ გრუჟონი ვაგონი და თუ პერედ-  
 ნი სკატი დიდ ნაყატის არ გააკეთებს პეროზე,  
 მაშინ ეგრე დავტოვოთ—აი ეგერ კრიტი ვაგონი  
 რომ დგას ის გამოატარეთ, გრუჟონია.

— ეხლავე, უპასუხა უფროსმა მუშამ.

— ბიკო ივანე! შენ ქართული არ გეყურება?  
 ხომ გითხარი პიატი ზამოკში შპალებს გამოუჩის-  
 ტე ბალასტი მეთქი. გამოუჩისტე მალე.

კოტე დიდის დაკვირვებით უცქეროდა ამ  
 განკარგულებებს.

— მისტერო! უპარავოზოთ იმ ვაგონს ვერ  
 დავსძრავთ, ძლიერ მძიმეა.

— აი შე გამოუცდელი! უკან სულ პაროქნი  
 ვაგონები არ არის? დაუტალკაჩეთ ის უკანა ვაგო-  
 ნები წინა ვაგონს და წამოვა. ოღონდ ტორმოჰი  
 მზათ იქონიეთ, უკლონში არ გაგეჭეთ.

მუშები წავიდნენ.

— მშვიდობით ვანო, მშვიდობით! წარმოსთ-  
 ქვა კოტემ.

— სად მიეშურები, კაცო?

— წავალ სამმართველოში, ჩემ საქმეს ცო-  
 ტათი „დავეტალკაჩებ“, როგორც ეტყობა ეს „ნა-  
 ციონალიზაცია“ არც ისე ძნელი ყოფილა, რო-  
 ვორც მე მეგონა.

3. ლ.







ჩინეთის დელეგატთა სკანდინავიის გამოიწერეს მისკოვიდან „ტრუბნის ზღოშხაღზე“ ჩიტების გაშეიდგელი სტოინკა ჩიეიკი

## უნდა შევიერთო ცოლი

(ბათუმისათვის)

იწამეთ თქვენი სალოცავები, შეხედეთ თქვენს ღმერთს, ბატონო ეშმაკო და პატივცემულო თავუნავ! დამიდებით უშამავლად და დამიხსენით ამ აუტანელი მდგომარეობიდან.—საქმე შემდეგშია, ბატონებო. ცოლი უნდა შევიერთო უსიკვდილოთ ცოლი, და როგორი ცოლი, არ იკითხავთ? უპირველეს ყოვლისა ლამაზი უნდა იყოს, როგორც მზეთ-უნახავი, მაგრამ ამასთანავე აუცილებლით ორსული. მას ამ რამოდენიმე დღეში ტყუპი შეილი უნდა ეყოლოს.

შეიძლება ბრძანოთ, ბატონებო: რადროს ცოლის შერთვა ამ საზღაპრო სიძვირეშიო, მაგრამ გთხოვთ მომისმინოთ. თუ ამ მოკლე ხანში ცოლი არ შევიერთე და მას ტყუპი შეილი არ ეყოლა გარწმუნებთ, რომ მე შიმშილი მომკლავს. ეს ისე ვიცი, როგორც თქვენი კეთილი გულის ამბავი და ამისთვის მკირია ტყუპი შეილი. ორ შეილში ერთი უნდა მოვანათელინო გენერალ-გუბერნატორ კონ სულაქველიძეს, მეორე ქალ. ბათუმის მილიციის უფროსს. მაშინ მე შეყოლება ორი ღიდი და მძლავრი ნათლია. მათი პროტექციით კი ადვილათ მოვახერხებ სამსახურის შოვნას. ბატონო ეშმაკო, ეს 20 დღე რაც მე ქალაქ ბათუმში ფეხ მოტეხილ ბატსავით დავებრევი და ვერავითარი სამსახური ვერ ვიშოვებ. საბუთები, როგორც განათლების ცენტრი, ისე ერობებისა და სხვა და სხვა დაწესებულებებისაგან მე რომ მიქვს

იმდენი, ვგონებ, მთელს რესპუბლიკაში მეორეს არ ექნება,—მაგრამ საბუთები არ სჭრის. საქიროა ნათლიამა; უკვე 25 დაწესებულებაში ვითხოვე ადგილი და ყველგან უარი მითხრეს. ჩემ თვალწინ კი ღებულობდნენ 20—25 თავიანთ მეზობლებსა და ბიძაშვილებს. ქალ. ბათუმის მილიციის უფროსს სწორეთ მაშინ დასტირდა უღვაშების გრება, როდესაც მე სამსახური ვსთხოვე და სრულიად პასუხის მიუღებელი გამოცემა გარეთ. იძულებული შევიქენი მეწხოვეთ დავმდგარიყავი მაგრამ აქაც პროტექცია დამჭირდა.—კურტნით მუშაობა მინდოდა, მაგრამ კურტანი მანეთად დააფასეს და მე კი 25 მანეთი აღმომაჩნდა. ამ ჟამად, დროებით ქალაქ ბათუმის ნავთსადგურში ვირთხებ ვიქტორ—და მომავლის იმედს ამ წერილის პასუხზე ვამყარებ. იწამეთ ღმერთი და თქვენი და თუ სადმე გეგულეობდეს ქერივი ორსული ქალი მიმასწავლეთ.—უნდა შევიერთო აუცილებლით ორსული ქალი და ტყუპი შეილი ვაყოლიო ნათლიების შესაძენათ. მიშველეთ რამე.

მამიებელი.







მატევი გუმურიანს, შეტ სსხელათ „კოტ“-ს, უირგიაზთ ხალხის მანდატი ჩააბარეს.

## შავი სახადი გათუფი

(ტირილი)

შავმა სახადმა დარაზმა  
სანიტარული ძალები:  
გრიგოლ, ოცი სხვა ექიმი  
ტიტიკო, ბლომათ ქალები.

დღე-ღამე ქუჩაში დადიან  
შირეკენ სახადს, ვირთხებსა,  
კირი, კარბოლდს სიმყავე  
აუარება შთანთქესა.

გრიგოლი ამბობს: გავაქრობ  
თორემ დამკარით თავს კეტი.  
გუშინ წინ მ, გუშინ მ  
დღეს-კი მომკვდარა თორმეტი.


გრიგოლ სახადი შეებნენ  
მიწას ძრავს მათი ქიდილი;  
ხალხი შიშისგან გარეტდა  
იკინის მხოლოთ სიკვდილი

გამეფდა შავი სახადი,  
ბოლო არ უჩანს მეფობას.  
ღმერთო, სანიტარო რაზმებში  
ნუ მოსპობ ძმობას, ერთობას!

როს სანიტარნი ერთ-ერთში  
ჩხუბობენ, წაიკიდიან,  
ვირთხები სიცილ-სიცილით  
სოროებისკენ მიდიან.

გრ. ბათუმელი.





ურილობის გასწისთანავე დელეგატები შიკარაჟებით ემთხვეიან ხელეობზე ამხანაგ ენერ ფაშას.

## ზუგდიდისათვის


(დაგვიანებულია)

ქალაქის საბჭოს დავესწარ  
 სხვა და სხვა საქმე სწუდებოდა,  
 კრაქები მანათობელი  
 რაღაც მალ-მალე ჰქრებოდა.  
 ილია გაცხარებული  
 ყირამალაზე დგებოდა,  
 რეზოლუციის წერისგან  
 გიორგი გულზე სკდებოდა;  
 მამია ანჯაფარიძე  
 საკითხის ვადამქრელია,  
 მსაჯული კობახიძეცა  
 მამისთანა მსვლელია;  
 მაძიებელი სოკრათი  
 მათ სიცილს დააყრიდაო,  
 მასწავლებელი ბუკია  
 სუყველას აუხირდაო;  
 პეტრე ჟვანია ჰყვიროდა  
 დალუპეთ თქვენ ქვეყანაო,  
 ყველა რო სოციალისტობთ  
 ვინ გაგვითოხნოს ყანაო;  
 მუნ მექი კობახიძეცა  
 გამოსთქვა მწუხარებანი,

დემოკრატია ილუბვის  
 არა აქვს საშვალეზანი;  
 წარსულსა დროსა ისინი  
 ლუქნებში ქეიფობდაო,  
 მათი ლამაზი სიმღერა  
 ზუგდიდსა ამშვენებდაო;  
 და მოითხოვა შემცირდეს  
 მიკიტნის გადასახადი,  
 რადგან ხედავდა შორს იყო  
 ლენინის შავი სახადი;  
 ქალაქის გამგეობიდან  
 ბავრათი ეკამათო  
 და უპასუხა მექიას  
 იმან უმჯობეს სხვათაო;  
 საბჭოს ღერძია ბავრათი  
 ჩილაჩავთა გვარიო,  
 კაცი მხნე ქარმაგოსანი  
 ღვითთ ზეცით მონაგვარია.  
 აწ გავათავე, მშვიდობით...  
 რაც ესთქვი ღღეს ესეც კმარაო  
 კვლავად შევაქებ ქურუმებს  
 თუ მუზამ მომეცხმარაო...

გზათელი.





შესანიშნავი მომენტი იყო, როდესაც შეველა დეკლავატებმა, როგორც ერთმა კაცმა იმიშელეს ხმლები და დასძახეს: სამდეთო ამი ანტანტასო!



დეკლავატებმა ისე შეითვისეს კომუნისტური იდეები, რომ აქვე განხორციელეს სოციალიზმი და ღაირიგეს ძვირფასი ნოსები.

## „ეზმაკის მათრახი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი 50 მან., გამოწერა შეიძლება სამი თვით.

ქურნალები დაიბეჭდებიან აგრეთვე განცხადებები.

მისამართი: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 21.